ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი #49

19 ნოემბერი, 2020 წელი

14:00 საათი

(ბიუროს სხდომათა დარბაზი)

ა/წ 19 ნოემბერს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე;
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. მიხეილ ამაშუკელი;
4. თამარ ტალიაშვილი;
5. ვლადიმერ ძნელაძე;
6. ზაზა მამალაძე.

მოწვეული სტუმრები:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

სხდომის დღის წესრიგი:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ბირბიჩაძე.

გიორგი ბირბიჩაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა. კომისიის წევრებს და მოწვეულ სტუმრებს წარმოუდგინა ქვორუმი და გააცნო დღის წესრიგი. კომისიის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოუსმინეს მომხსენებლებს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსს გაიოზ თალაკვაძეს და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა მიმართულებით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება:

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 164 376,9 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 20 019,3 ათასი ლარი, მათ შორის გათვალისწინებულია და გრძელდება აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, დაავადებათა სკრინინგის ფარგლებში გამოკვლევების და ტრანსპლანტაციის დაფინანსება.

სოციალური დაცვის პროგრამებისთვის ჯამში გათვალისწინებულია 144 357,7 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში გრძელდება ქვეპროგრამები, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაცია, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში, საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მეტროთი და საბაგიროთი უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურებისათვის. სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიებების ქვეპროგრამა დაგეგმილია 13 527,0 ათასი ლარის ოდენობით, სხვა სოციალური დახმარების ღონისძიებები რაიონებში 18 815,1 ათასი ლარი, მათ შორის, გლდანის რაიონში - 2 291,8 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 2 609,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 1 800,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში 1 600,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 2 000,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 1 618,8 ათასი ლარი, სამგორის რაიონში -

2 200,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 1 195,5 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 1 500,0 ათასი ლარი. წყალმომარაგების სისტემის მოწესრიგება რაიონებში - 1 054,5 ათასი ლარი და სხვა.

მ/წ 19 ნოემბრის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსმა გელა ჩივიაშვილმა ითხოვა და ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია დაეთანხმა,

გაფანტული სკლეროზის სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსების ნაწილში სამკურნალო მედიკამენტებს დაერქვას ჯენერიკული სახელწოდება.

ხოლო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დადგენილების პროექტის შესწავლისას აღნიშნა:

შეცდომაა დაშვებული (დანართი 1) მხარჯველი სუბიექტის მიერ წარმოდგენილ სამუშაოების ღირებულების გაანგარიშებებში, კერძოდ: 06 02 04 01 - შშმ ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების თანხები 1293 ბენეფიციარზე გაანგარიშებულია თვითეულზე 800 ლარის ოდენობით, ხოლო ღონისძიების დასახელების ტექსტურ ნაწილში ნახსენებია საკურორტო მომსახურების მაქსიმუმ 700 ლარის ოდენობით დაფინანსება.

ასევე, ბიუჯეტის ტექსტურ ნაწილში (პროგრამის დახასიათება) კერძოდ, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ნაწილში შესწორდეს ტექნიკური და ტერმინოლოგიური ხარვეზები და ასახულ იქნას დაზუსტებულ ბიუჯეტში.

აქვე აღნიშნეს, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია,

- სოციალურად დაუცველი და უმწეო მდგომარეობაში მყოფი ჩვენი მოქალაქეების სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით სოციალური დაცვის ქვეპროგრამის (კოდი 06. 02. 14) ,, უფასო სასადილოებით მომსახურება“ ბიუჯეტის ზრდა.

- სხვა სოციალური (დახმარების) ღონისძიებები რაიონებში (კოდი 06.02.18) თანხების გადანაწილება მოხდეს გამგეობებს შორის სხვაგვარი პროპორციით.

წარმოდგენილი ცვლილებები დადებითად შეაფასა და დაეთანხმა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 6

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

<u>კომისიამ დაადგინა</u>

ცვლილებათა პაკეტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების მიზნით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბირბიჩაძე